№ 159

სამშაბათი, 5 აგვისტო 1897 წ.

1877—1897

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227·

# ივერია

№ 159

სამშაბათი, 5 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“
ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
მ. ლალიძის გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა
აკაკისა
**ნათელა**
(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
ფასი თითო აბაზი.
ვინც ამ წიგნს ერთად ნაღდ ფულზედ იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს-და ფოსტითაც გაეგზავნებათ. (10—145—5)

## ახალი ამბავი

—

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი დეისტ. ტაინი სოვეტნ. ა. ს. ერმოლოვი ტფილისში მარიამობისთვის მეორე ნახევარში ჩამოვა.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ლეიტენანტი თავ. გ. ს. გოლიცინი გუშინ წინ, 3 აგვისტოს, ტფილისის გუბერნატორთან ერთად ჩამობრძანდა ტფილისს. მის ბრწყინვალებას მთავარ მართებელს დახვდნენ მისი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კამენდანტი გენერალ-მაიორი ი. ნ. რეიტერი, ვიცე გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ამიროვი და პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ზ. ტ. ლოლაძე. იმავე დღეს, ნაშუადღევის სამ საათზედ, მთავარ-მართებელი კოჯორს წავიდა.

*** ამ ჟამად ტფილისის ქვეითა ჯარის იუნკერთა სასწავლებლის მასწავლებელი, ცნობილი ფიზიკოსი ვ. ი. ვარაპაევი მარკონის სისტემით უმავთულოდ ტელეფონის გამართვასა სცდის. საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდის. იმედია, ამ ახალს საშუალებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექმნება მომავალში.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიამ გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ახალქალაქის საზოგადო კრების წესდება.

*** ბრიუსელში დანიშნულ რკინის გზის ექიმთა მეორე საერთაშორისო სასანიტარო კონგრესზედ დასასწრებლად გზათა სამინისტრო კავკასიის რკინის გზის ექიმს ნ. ვ. პარიისკისა ჰგზავნის.

*** საერო განათლების მინისტრის განკარგულებით ტფილისის სემინარიაში სწავლა დამთავრებული ილია ჯაში დორპატის უნივერსიტეტში იქმნა სტუდენტად ჩარიცხული.

*** ამ წლის 1-ლ იანვრიდგან 1-ლ ივლისამდე კავკასიის რკინის გზაზედ 210 უბედური შემთხვევა ყოფილა. ამათ შორის გარეშე ხალხიდგან დაშავებულა 43 კაცი, რკინის გზის მოსამსახურეთაგან—157 კაცი და მოგზაურთაგან—10 კაცი. 210 კაცში 178 დაშავებულა და 32 გარდაცვლილა.

*** გორის მაზრის სოფელ ტირძნისის ორ-კლასიანის სამრევლო სკოლის პირველ კლასში მისაღები გამოცდა დაიწყება 30 აგვისტოდგან, ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თხოვნით ხსენებული სკოლის მზრუნველს ივან დავითის ძეს სულხანიშვილს. სკოლასთან არის დაარსებული მოსწავლეთათვის საერთო ბინა საცხოვრებლად.

*** გუშინ, 4 აგვისტოს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში განსვენებულის ბოქაულის თავ. აბაშიძის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქმნა გარდახდილი, რომელსაც მისნი ნათესავნი და გარეშენიც დაესწრნენ.

*** ამ ბოლოს დროს ტფილისში საქონლის ჭირი გავრცელდა. 1-ლ აგვისტოდგან ექვსი სული საქონელი მოკვდა ჭირისაგან.. ქალაქის დიდ საყასბოზედ საკლავ საქონელში ორი სული საქონელი ჭირიანი აღმოაჩინეს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და მისის ამხანაგის თავისუფალს ადგილებზედ, როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს შეუტყვია, სექტემბრამდე ვერავის დაჰნიშნავენ, ვიდრე ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ს. ბ. ვრასკი ყირიმიდგან არ დაბრუნდება.

*** როგორც „ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს შეუტყვია, სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ერმოლოვი საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორის პეტერბურგში ჩამობრძანების დროს პეტერბურგს თურმე დაბრუნდება და მერე წამოვა კავკასიაში.

*** გაზ. „მწყემსის“ სიტყვით, იმერეთის ღარიბ მრევლის საკრებულოსთვის ჯამაგირები დაუნიშნავს მთავრობას: მღვდლებისათვის სამას-სამასი მან., მედავითნეებისათვის ას-ასი მანეთი, სულ—17,000 მან.

*** იმავე გაზეთის სიტყვით წელს შორაპნის მაზრაში პურის მოსავალი ძალიან კარგი იყო. ვენახსაც კარგი პირი უჩანდა, მაგრამ სეტყვამ წაახდინა. ხილიც ძალიან ბევრი მოვიდა.

„ივერიის“ 144 № სხვა გაზეთიდგან გადმობეჭდილი გვქონდა, რომ ფოთში ქალაქის ხიდის აგებას იჯარადარი უკვე შეუდგაო. ეხლა, როგორც საკუთარი კორესპონდენტი გვწერს, ეს ცნობა ტყუილი ყოფილა. გუბერნატორისაგან დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა მხოლოდ ეხლა მიუღიათ და ქალაქის გამგეობას იჯარადრისათვის ჯერ არ გადაუცია ქალაქის ხიდის აგების საქმე.

*** სოფელ ხოვლები, (გორის მაზრა). ამ ბოლოს დროს საქონლის ჭირმა იჩინა თავი. ზოგიერთმა საქონელი მთაში წაასხა ვითომდა მოსარიდებლად, მაგრამ აქაც გაჰყვა თან და რამდენიმე სული უკვე იმსხვერპლა. თვითონ სოფელშიაც მოკვდა რამდენიმე სული. საჭიროა, მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და ვეითალი დროზედ მიაშველოს.

*** ქ. ფოთი. ფოთში ვაჭრობა ძალიან დაეცა. ფოთის ვაჭრებსა, ხელოსნებსა და მცხოვრებთ სული კბილით უჭირავს. მთელის წლის ოდენა დღეს დუქანში ალამებენ და კაცი არა კითხულობს, რა გაქვს გასაყიდიო. ისევ ჩვენი ბოქაული გამოგვაფხიზლებს ხოლმე ხანდახან. 28 ივლისსაც გამოიარა და ყველა ხელოსნებს აალებინა დუქნის წინ დაკიდული და ზოგსაც დადგმული პატარა შუშის შკაფები. ყურადღების მისაქცევია ისიც, რომ აქაურ მაღაზიების წინ ზოგან დანგრეულის ქვაფენილის მიზეზით შეუძლებელია გავლა. მეტადრე თუ ცოტა წვიმაა. მაღაზიების პატრონები-კი ყურ-წალესილი არიან და ქირას სრულად იღებენ.

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

ჩვენო სამოთხევ ყანაო,
ნუ გეჭმუხნება წარბია,
ნულარ გაწვება გულზედა
ნისლებრივ შავი დარდია,
აწ სადაც არის მაშველად
გამოგიჩნდება ტარბია,
სულ მთლად მოჰკითხავს წყეულსა,
რაც მან აქამდის გარბია!..

ვ. თ—შვილი

### მცირე რამ

ქუთათური კორესპონდენტი „ივერიისა“ გვაუწყებს მიმდინარეობას იქაურის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრებულის მოქმედებისას. ბევრი სასარგებლო რამ კეთდება ამ კრებაზედ; მაგრამ უფრო მეტი გაკეთდებოდა, თუ შიგა და შიგ ეს კრება სწორე გზას არ გადასცილდებოდეს ხოლმე.

ამ გვარ გადაცილებად უნდა ჩაითვალოს პირველად გაკვეთილები მუნჯურის მეთოდისა. ამ გაკვეთილებს აძლევს ბ-ნი მკურნალი ისეთის სიბეჯითით, რომელიც ღირსია უკეთესის საქმისა. რისთვის ირჯება ნიჭიერი მასწავლებელი ამ მეთოდის გაყვანისათვის სამრევლო სკოლებში და რისთვის ჰკარგავს ტყუილად დროს მათ მოსმენაში თვით კრებული მასწავლებელთა, როდესაც სინოდი არასდროს არ შეიწყნარებს ამ მეთოდსა, რადგან იგი ეწინააღმდეგება რუსეთის ეკკლესიის ძირითადს ტრადიციას, მისს მისსიონერულს პრინციპსა· ამ პრინციპის მიმდევარი რუსეთის ეკკლესია ყოველთვის ხმარობდა და ხმარობს ადგილობრივს ენებს, როგორც საუკეთესო ღონისძიებას ქრისტიანობის და სწავლის გავრცელებისათვის სხვა ერთა შორის (среди инородцевъ)· ეს მეთოდი ეწინააღმდეგება სინოდისაგან გამოცემულს სამოსწავლო გეგმას საეკლესიო სკოლებისათვის, სადაც დედა-ენის შემწეობა რუსულის ენის სწავლებისათვის ქვა-კუთხედზედ არის აღიარებული, თუმცა თვალ-საჩინო ელემენტსაც ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი. თვით სამინისტროს სკოლებში ეს მუნჯური მეთოდი ჯერ არსად არ არის დამკვიდრებული. თუ სადმე ხმარობენ, ისე—საცდელად. პერიოდული პრესა რუსეთისა თითქმის მთლად წინააღმდეგია მისი. ბ-ნი ლევიცკის მეთოდი და წიგნი მახარად აიგდეს არამც თუ იმისთანა პროგრესიულმა გაზეთებმა, როგორიც არიან: „Новости“, „Недѣля“, „Петербургскія Вѣдомости“, არამედ სუვორინის ორგანმაც „Новое Время“-მ. ამ გაზეთების აზრით, თვით რუსულის ენის სიკეთე და ღირსება მოითხოვს, რომ ეს სასაცილო მეთოდი უარ-ყოფილ იქმნას სკოლებში და დაუბრკოლებლივ იხმარებოდნენ ადგილობრივი ენები სახელმწიფო ენის შესათვისებლად. ყველაზედ უფრო შესანიშნავია და საყურადღებო ამ შემთხვევაში უკანასკნელის გაზეთის მორჯულება. მისი ახლანდელი რედაქტორი წინად დიდი მდევნელი იყო სხვა ხალხების ენებისა და ქადაგებდა იმ აზრსა, რომ აწინდელს თაობას უცხო ტომებისას რუსული ენა კარგად უნდა შევასწავლოთო და შემდეგ თაობას თავისი დედა ენა უნდა დავავიწყებინოთო. ერთი სიტყვით, რუსიფიკაციას თხოულობდა შიკრიკულის სისწრაფით. ახლა? ახლა-კი ისეთს აზრებს ქადაგებს, რომელსაც ორივ ხელს მოაწერდნენ: უშინსკი, ბარონ კორფი, ვოდოვოზოვი, სტასიულევიჩი, სოლოვიოვი, ლამანსკი და ყველა დაწინაურებული პედაგოგი და პუბლიცისტი რუსეთისა. ამ მხრივ მეტად შესანიშნავია წერილი: „ილმინსკი და მისი სისტემა სხვა ტომების განათლებისა“, რომელიც დაბეჭდილია „Новое Время“-ს მეორე, საღამოს გამოცემაში 9 ივლისს № 7673. ფრიად საჭიროა ეს წერილი გაიცნონ როგორც თბილისის კრების ხელმძღვანელებმა, ისე ქუთაისისამ. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს ადგილსა: „Основныя начала такой системы просвещенія имѣютъ всѣ данныя для того, чтобы послужить благополучному разрѣшенію инородческаго вопроса у насъ. Она избѣгаетъ тѣхъ препятствій, о которыя разбивались прежнія просвѣтительныя заботы нашего правительства· Она не настаиваетъ на непремѣнномъ изученіи въ начальныхъ школахъ русскаго языка, а предлагаетъ орудіемъ просвѣтителнаго воздѣйствія на инородцевъ - ихъ родные языки. Это та идея, которою всегда была сильна греческая, а за нею русская православная церковь· Здѣсь мы видимъ возстановленіе тѣхъ началъ, которыя на пространствѣ всей русской исторіи обезпечивали намъ наиболѣе вѣрныя мирныя завоеванія инородцевъ, наиболѣе вѣрно сближали, уподобляли и даже сливали съ нами послѣднихъ“.

სხვა გაზეთში რომ ყოფილიყო გამოთქმული ეს ყოვლად სამართლიანი და გუმანიური აზრი, დიდი ნიშვნელობა არ ექმნებოდა. მაგრამ „Новое время“ ყოველთვის ყურს უგდებს მაღალი სფერის განზრახვას, მიმართულებას და ბანს აძლევს მას, რის გამოც იგი ოფიციოზურ გაზეთად ითვლება. ამიტომ ამ საამო ნიავის მობერვა უნდა მივაწეროთ არა ბ-ნს სუვორინს, არამედ ბევრად უფრო უმაღლესს პირებს, რომელთა ხელშიაც არის მართვა და გამგებლობა ქვეყნისა *). მით უფრო საოცარია ქუთათურს კრებაზედ პროპაგანდა მუნჯური მეთოდისა, რომელიც ჯერ არც ერთს სახელმძღვანელოში არ არის რიგიანად განხორციელებული და ვერც განხორციელდება, როგორც უკუღმართი მეთოდი... ბ-ნი ლევიცკის წიგნი სრულიად და კატეგორიულად უარ-ყოფილია სასულიერო მთავრობისაგან დაწვრილებით განხილვის შემდეგ და ეს უარყოფა დამტკიცებულია ყოვლად უსამღვდელოესის ვლადიმირის მიერ. მაშ რომელი მუნჯური სახელმძღვანელოს შემწეობით სურთ ქუთათუ-

*) ეს ჩვენი გუმანი მთლად გაამართლა ბ-ნი საბლერის სიტყვამ, რომელიც შემოკლებით ამ დღეებში „ივერიაში“ იყო მოყვანილი.
ავტორი

ამას წინად აქ სტუმრად, გადმოვიდა გემიდგან ერთი ინგლისელი, რომელსაც ჰსურდა თურმე ფოთის ქუჩების დავლა. შემოვიდა თუ არა ბაზარში, შეიყარა მაწანწალა ძაღლების გროვა და დაედევნენ უკან ინგლისელის ველოსიპედს, რამდენიც წინ მიდიოდა ველოსიპედი, ძაღლების გროვას უფრო ემატებოდა, რადგანაც თითოეულ მედუქნეს სამი-ოთხი ძაღლი ჰყავს. საბრალო ინგლისელი იძულებული გახდა თავისის ველოსიპედით უკან გაბრუნებულიყო და გემისთვისვე შეეფარებინა თავი. კარგი იქნება ამასაც მიექცეს ყურადღება და, ამას გარდა, რა-კი ხელოსნებს აკრეფინა ბოქაულმა გარეთ გამოტანილი საქონელი, ნურც ვაჭრებს მისცემს ნებას. როგორც ვიცით, აუარებელი საქონელი უწყვიათ წინ, ასე გეგონებათ, დუქანი გამოუცლიათ და გარეთ გამოუტანიათო.

⁂ დ. ჩხარი, (შორაპნის მაზრა). 31 ივლისს, ნაშუაღამევის პირველს საათზედ, დაბა ჩხარს ცეცხლი გაუჩნდა და გადაიწვა ოც-და-ათს დუქანზედ მეტი. ზარალი ოცი ათას მანეთს აღემატება. დაზარალდნენ უფრო წვრიმალნი ვაჭრები, რომელთაც ხის შენობები ჰქონდათ და ისიც ყავრით დახურული. დაბა ჩხარის მოვაჭრენი გონების განვითარებისა და დაბის გამშვენებისათვის სულ არა ჰზრუნავენ. ამოდენა დაბაში ერთი ქართული გაზეთიც არავის მოსდის. თვით დაბა სუფთაობის მხრივ მეტად დაქვეითებულია. ცეცხლის გაჩენის დროს მთვარიანი ღამე იყო, ყველას იმან უშველა, თორემ მთელი დაბა გადიბუგებოდა. ცეცხლის საქრობი მანქანებისა აქ ხომ სახელიც არავინ იცის; ერთის სიტყვით მოვაჭრეები, რომელთა უმეტესს ნაწილს სომხობა შეადგენს, იმასა ზრუნავენ, როგორ მოატყუონ საწყალი გლეხი კაცი. პარასკეობით, როდესაც აქ „იარმუკობა“ იციან, ყოვლად შეუძლებელია, რომ ან ქვეითმა კაცმა ან ცხენოსანმა ქუჩაში გაიაროს. ერთად ერთი ქუჩა, რომელიც აქაურს უმთავრესს ქუჩას შეადგენს, ისე აივსება ხოლმე საქონლითა და ხე-ტყით დატვირთულის ურმით, რომ ნემსის ყურწიც არსად ჩაეტევა. ამის გამო მთელი დაბა საქონლის პატივისაგან კვირის კვირობამდის მეტად გაბინძურებულია. აქამდის ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ გასასყიდ საქონელს ცალკე ბინა აუჩინონ და ამ ნაირად ბაზარი გაასუფთავონ. სასურველია, რომ ამ გარემოებას ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს.

## საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქ. ტფილისში.

სამეურნეო საგანთა გაცნობა დამთავრდა 26 ივლისს. სამეურნეო ნაწილიდგან დაახლოვებით 50 ლექცია იქმნა წაკითხული, წველა-დღვების ნაწილისა—5, სააბრეშუმო—16, მეფუტკრეობისა—5, საბოსტნო, სახეხილო და მევენახეობისა—24.

28 ივლისს სასულიერო სემინარიაში, სადაც იმყოფებიან დღეიდგან კურსებზედ მოწვეულნი მასწავლებელნი-კაცნი, სამოსწავლო ნაწილის ლექციები დაიწყო. სულ 25 ლექცია იქნება წაკითხული. სამღრთო სჯულისა 3 ლექცია საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველ ბ-ნ ნ. გ. ტატიშვილის მიერ, რუსული ენისა—6 ბ-ნ ა. პ. ალბოვის მიერ, ქართული ენისა—3 ბ ნ ი. ი. ფერაძის მიერ, არითმეტიკისა—3 ა. ნ. ხმელევსკის მიერ, საზოგადო დიდაქტიკისა—6 ი. ი. ფერაძის მიერ, სასკოლე ჰიგიენისა—4 ექიმ პროზოროვსკის მიერ. სამაგალითო და სანიმუშო გაკვეთილები 75 იქნება. სამღრთო სჯულისა 8, რუსულ ენისა—9, ქართულისა—6, არითმეტიკისა—7, რუსულ გალობისა—25, ქართულის გალობისა—20, როგორც ამბობენ კურსები 10 აგვისტომდის გასტანს.

ლექციები სამღრთო სჯულისა, სლავიანურ და რუსულ ენისა უკვე დამთავრდა. დანარჩენ საგნების ლექციები დაიწყეს ოთხ აგვისტოდგან. სამაგალითო გაკვეთილები მისცეს სამღრთო სჯულისა სემინარიის მოძღვარმა დ. ბერძენიშვილმა, ნ. მაჭაროვმა, სამაზრო ზედამხედველმა მღვ. კონტრიძემ, რუსულის ენისა და არითმეტიკისა ბ-ნმა ლ. გ. ბოცვაძემ, ანგარიშისა ბ ნმა თ. ი. მჭედლიშვილმა. მასწავლებელთ ქალთაც და ვაჟთაც დაურიგდათ ლიტოგრაფიით დაბეჭდილი საპედაგოგიო კითხვები, რის პასუხიც კვირას, 3 აგვისტოს, წერილებით მისცეს საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველს ბ-ნ ნ. გ. ტატიშვილს. აზრი საპედაგოგიო კითხვების დარიგებისა ის არის, რომ შეიტყონ, თუ როგორის საპედაგოგიო ცოდნით არიან აღჭურვილნი კურსებზედ მოწვეულნი მასწავლებელნი. სამაგალითო თვალსაჩინო გაკვეთილს სამღრთო სჯულისას დაესწრო მათი ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი. ლექციებსავე დაესწრო მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოზი ალექსანდრეც. ლექციებსა და სამაგალითო გაკვეთილებს ესწრობოდა აგრეთვე არქიმანდრიტი ლეონიდი და ზოგიერთნი სხვანი სამღვდელონი.

მ—შვილი

## სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება ქ. ქუთაისში

ადგილობრივ საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს დადგენილებისამებრ, მასწავლებელთა კრება ათს აგვისტომდის გასტანს. ამ გარდაწყვეტილებას ბუნებამაც მოუმართა ხელი, დღეს ქ. ქუთაისში ტროპიკული სიცხიანი დღეები სასიამოვნო გრილ დღეებად შეიცვალა. ამ გარემოებამ მასწავლებლები ერთი ორად გაამხნევა. ცოდნის მოყვარეობამაც თავისი გამაცხოველებელი ძალა გამოიჩინა, კურსების დასაწყისში თუ მასწავლებლებს არ მოსწონდათ რამე და ეხიშტებოდათ, დღეს ეს, მაშინ მოუწონებელი და ვითომ მათთვის გამოუსადეგარი, მოსაწონებელ და გამოსადეგად შეიქმნა. კურსების დაწყების პირველ დღეებში მასწავლებლების უმეტეს ნაწილს (რასაკვირველია, ვისაც სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიაში არ უსწავლიათ) გაკვეთილების მიცემისა ეჯთობ ეშინოდათ და მეთოდიკასა დიდაქტიკაზედ ბაასის დროს მხრებს იშმუშნიდნენ; დღეს კი, ჩვენდა სანუგეშოდ, სულ სხვას ვხედავთ: გაკვეთილების მიცემას მზად არიან და მეთოდიკის ლექციები ბევრს ისე მოეწონა, რომ შესანიშნავს ადგილებს იწერენ და ზეპირად სწავლობენ. ასევე იქცევიან სამეურნეო საგნების შესახებაც, განსაკუთრებით მეაბრეშუმეობის სწავლების დროს, რომელსაც 13 ივლისიდგან ასწავლის ბ-ნი ქუთათელაძე. მასწავლებლებმა ისე კარგად შეითვისეს მეაბრეშუმეობა, რომ თითონ ჰხარშვენ პარკებს, ახვევენ და სხვა.

16 ივლისიდგან დამთავრდა სამაგალითო გაკვეთილების მიცემა საგანგებოდ ამ საქმისათვის მოწვეულ მასწავლებლებისაგან, იმათ თავისის შრომისათვის შესაფერი ჯილდო მიიღეს და წავიდნენ ბ-ნ ხმალაძის გარდა, რომელიც მასწავლებლებს ჰხელმძღვანელობს გაკვეთილების მიცემის დროს. 17 ივლისს რუსულის ენის გაკვეთილი მისცა სამრევლო სკოლის მასწავლებელთაგანმა ბ-ნმა ტყემალაძემ, რომელიც სამასწავლებლო სემინარიელია და ათს წელიწადზედ მეტი გადის, რაც რომ საერო და სამრევლო სკოლებშია მასწავლებლად. მისი გაკვეთილი ყველას მოეწონა, განსაკუთრებით იმითი, რომ საუცხოვოდ მოახერხა სამს განყოფილებასთან ერთსა და იმავე დროს მეცადინეობა. გამონაგარიშებულია დრო ისე, რომ უსათუოდ ყველა მასწავლებლებმა უნდა მისცენ თითო გაკვეთილი მაინც, მაგრამ ეს-კი ვერაფრით ვერ ამიხსნია, რომ არც სამაგალითო გაკვეთილების გარჩევა იყო ამ კრებაზედ და არც სანიმუშო გაკვეთილებს არჩევენ. რაღა თქმა უნდა, რომ თუთიყუშისავით გადმოღება რისამე ყველა საქმეში მავნებელია და მასწავლებლის ხელობაში ხომ მით უმეტეს. კარგი იქნება, რომ კურსების მოთავენი და მმართველნი დეკანოზი ცაგარეიშვილი, მღ. მელიტონ კელენჯერიძე და ბ ნი ჟორდანია ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდნენ ამ საქმეს და, მასწავლებელთა სურვილისამებრ, გაკვეთილების გარჩევას დასდებდნენ წესად.

მ. ბუჩიძე

## ბოქაულის თავ. ი. ა. აბაშიძის და სხვათა მოკვლის ამბავი.

ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს დაწვრილებით ცნობებს ყაზახის მაზრის ბოქაულის თავ. იოსებ ალექსანდრეს ძის აბაშიძის და სხვათა მოკვლის შესახებ. 28 წასულს ივლისს თავ. აბაშიძე, თავის მწერალთან ერთად, წავიდა საერობო დარაჯის ჩაფრების სადგურების დასათვალიერებლად. ერთს ასეთს სადგურზედ თავ. აბაშიძეს შეატყობინეს, რომ სოფ. ალიბეგლოს მცხოვრებლებთან ერთად, მთებიდგან უნდა ჩამოვიდნენ ბარად ციმბირიდგან გამოქცეულნი, ცნობილი ყაჩაღი აბუზარ-ოღლი და ერთიც კიდევ სხვა, რომლის გვარიც არავინ იცის. თავ. აბაშიძემ მაშინვე

---

რებს აწარმოვონ სწავლება სამრევლო სკოლებში რუსულის ენისა?

მეორე შეცდომა კრებისა იმაში მდგომარეობს, რომ ძველებური სილაბიური მეთოდითაც აძლევენ თურმე სამაგალითო გაკვეთილებს, მაშინ, როდესაც ხმოვანს მეთოდს სინოდისაგან აქვს მინიჭებული უაღრესობა. ჩაიკითხეთ რუსულის ენის პროგრამა, სამრევლო სკოლებისათვის დადგენილი უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან—და იქ ამოიკითხავთ შემდეგს წეს-რიგსა წერა-კითხვის სწავლებისასა: დაყოფა წინადადებათა სიტყვებად, სიტყვების დაყოფა მარცვლებად, მარცვლებისა ხმებად, შემდეგ კითხვა სიტყვებისა, წინადადებებისა და ბოლოს წერისა. ამ მეთოდზედ არის შედგენილი ის ერთად-ერთი რუსული ანბანი, რომელიც ამჟამად მოწონებულია სინოდისაგან სამრევლო სკოლებში სახმარებლად. მე ვამბობ ლუბენეცის რუსულს ანბანზედ, რომელიც ამ შვიდიოდე წლის წინად შესდგა და მსწრაფლ გააუქმა ყველა სხვა ანბანები, რომელნიც მაშინ იხმარებოდნენ რუსეთის სამრევლო სკოლებში. როგორც მკითხველმა იცის, „დედა-ენა“ და „Русское Слово“ ამავე მეთოდზედ არიან დაწერილნი—პირველი ოცის წლის წინად და მეორე ათის წლის წინად. ამავე მეთოდს, ანალიტიურ-სინტეტიურს ბოლოს წლებში ამჯობინებენ გამოჩენილნი რუსის პედაგოგები. მაგალითად, პაულსონმა 1893 წელში სწორედ ამ მეთოდზედ შეადგინა ახალი თავისი ანბანი, გენეტიურს წესზედ დალაგებული.

მართალია, სინოდის პროგრამაში ძველ-სილაბიურს მეთოდზედ სწერია: не возбраняется, მაგრამ ეს ალბად იმ მოუმზადებელს მასწავლებლებისათვის არის ნათქვამი, რომელთაც ხმოვანი მეთოდის მოხმარება არ შეუძლიანთ. ხოლო ამისთანა მასწავლებელნი ჩვენში, ვგონებ, არ მოიპოვებიან. პაპოვის წიგნი იწყება სილაბიურის მეთოდის ანბანით, რომელსაც მისდევს პირველი საკითხავი წიგნი. მაგრამ იგი მოწონებულია მხოლოდ როგორც პირველი საკითხავი წიგნი და არა როგორც ანბანი. პროგრამაში სწერია: Первою книгою для чтенія, впредъ до изданія особаго руководства для церковно приходскихъ школъ, можетъ служить книга Попова, годъ первый. ანბანის შესასწავლად-კი სინოდისაგან დანიშნულია, როგორც ვთქვით, ლუბენეცის წიგნაკი. ამ წიგნაკს რო ათავებენ, პოპოვის ანბანზე გადასცდებიან და პირდაპირ პირველ საკითხავს წიგნს შეუდგებიან ხოლმე. სამრევლო სკოლების პროგრამების პირველ გამოცემაში მოხსენებული იყო თუნდა ხუთი-ექვსი ანბანი, სილაბიურს მეთოდზედ შედგენილი; მაგრამ მეორე გამოცემაში-კი მათი ჭაჭანებაც აღარ არის, აღიარებულია მხოლოდ ლუბენეცის ანბანი. ცხადია, რომ ძველებურს მეთოდს, წინედ მეტ-ნაკლებობით მოსათმენად ცნობილს, ლიკლახანა უცვდება და ხმოვანს მეთოდს უთმობს სკოლის ველს მთლად. ამის შემდეგ რად უნდა ჰკარგავდეს დროს ქუთათური კრება ამ მეთოდის სამაგალითო გაკვეთილებზედ. მკვდარი მეთოდის აღდგინება ვის რად უნდა, როცა ცოცხალი მას ერთი ათად სჯობიან ყოველი მხრივ.

მთავარი ყურადღება კრებაზედ იმას უნდა მიექციოს, რომ მასწავლებელნი დახელოვდნენ იმ მეთოდის და იმ სახელმძღვანელოების ხმარებაში, რომელნიც არიან განხილულნი და მოწონებულნი სასულიერო მთავრობის მიერ. ამ სახელმძღვანელოებიდგან უნდა ამოიღონ მასალა სამაგალითო გაკვეთილებისა და ამ მასალის ოსტატური გადაცემა ბავშვებისათვის განახორციელონ. მეტადრე ნორმალური წეს რიგი რუსულის ენის სწავლებაში ითხოვს დიდს ყურადღებას. საჭიროა რამდენიმე სამაგალითო გაკვეთილი ეძლევნას ლექსიურს განყოფილებას, რამდენიმე წერა-კითხვას, რამდენიმე თვალ საჩინო გაკვეთილებას და რამდენიმე მოთხრობებს და ლექსებს, აგრეთვე წერილობითს თვით-მდგომარე ვარჯიშობასა. ამისთანავე მრავალ-მხროვანი გაკვეთილები უნდა ეწილადოს ქართულს ენასა და სხვა საგნებსა. ეს სამაგალითო გაკვეთილები უნდა დააწერინონ, დააბეჭდინონ და შეადგინონ ცალკე კრებული, რომელიც დიდს სამსახურს გაუწევს სამრევლო სკოლებს და მათ მასწავლებლებსა.

ძლიერ საჭიროა აგრეთვე შესდგეს საერთო განაწილება ყოველ დღიური გაკვეთილებისა საგანთა შორის, თანახმად სამოსწავლო გეგმისა, რომელიც სინოდისაგან არის დამტკიცებული და გამოცემული საეგზარხოსოს სამრევლო სკოლებისათვის. თვითონ ეს გეგმა კარგად უნდა გააცნონ მასწავლებლებს კრებაზედ, განუმარტონ და დაურიგონ მასწავლებლებს სახელმძღვანელოდ, როგორც მთავრობისაგან გამოცემული კანონი. სამი განყოფილება სკოლის საათების განაწილებას საგანთა შორის ჰხდის ძნელ საქმედ, რადგანაც როცა ერთს განყოფილებას ასწავლის სკოლის ოსტატი, მეორე და მესამე განყოფილებას უნდა იმისთანა საქმე ჰქონდეს, რომლის რიგიანად შესრულება შეუძლიან თვითონ, უმასწავლებლოდ. სინოდის გეგმით ყოველ-დღე დანიშნულია ხუთი გაკვეთილი. ამ ხუთს გაკვეთილში პირველი მისაკუთრებული აქვს სამღრთო სჯულსა, მეორე და მესამე დედა-ენასა, მეოთხე რუსულს ენასა და მეხუთე არიფმეტიკასა და გალობასა. სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, გამოვა: სამღრთო სჯულს კვირაში ნარგუნები აქვს ექვსი გაკვეთილი, ამდენივე რუსულს, ამდენივე არიფმეტიკას და გალობას და ორი ამდენი, ესე იგი, თორმეტი გაკვეთილი კვირაში დათმობილი აქვს ქართულს ენასა. საერთო განაწილებამ ყოველდღიურის გაკვეთილებისამ ეს რაოდენობა საათებისა უნდა დაიცვას სასტიკად და ამავე დროს ისე მოაწყოს საქმე, რომ ორს განყოფილებას, რომელიც თითქმის თავის ანაბარა არის დარჩენილი, ყოველთვის შესაბამი საქმე ჰქონდეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ორს მთავარს საკითხს და სხვა საკითხებსაც ჩინებულად გაუძლვება როგორც ქუთათური, ისე თბილელი კრება მასწავლებელთა და ნამდვილს ღვაწლს დასდებს ხალხის განათლებას ჩვენში.

ი. ნაცნობი

მოიწადინა მათი შეპყრობა, წაიყვანა თან შვიდი ჩაფარი, მწერალი ბეზინოვი და ღამე გაუდგა გზას ალიბეგლოსაკენ. აბაშიძეს აზრადა ჰქონდა გათენებამდის მისულიყო სოფელში და მოულოდნელად დასცემოდა თავს ყაჩაღებს. მაგრამ სოფელს ერთი ვერსის მანძილზედ რომ მიუახლოვდნენ, ყაჩაღები დახვდნენ და თოფის სროლა დაუწყეს, თავ. აბაშიძემ ბევრი აღარ აცალა თურმე, თითონაც გაისროლა თოფი და ერთი კაცი კიდეც გადმოაგდო ცხენიდგან. შემდეგ ჩაფრებიც მიეშველნენ და ასტყდა თოფის სროლა. ამ სროლის დროს თავ. აბაშიძემ კიდევ მოჰკლა ერთი კაცი, სახელდობრ აბუზარ-ოღლის ძმა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თითონაც მოარტყეს ტყვია ფეხში და ცხენიდგან ჩამოაგდეს. ჩაფრებმა სტაცეს ხელი აბაშიძეს, განზე გაიყვანეს, თივის ბულულის გვერდზედ მიაწვინეს და თვით ბეზინოვის მეთაურობით ყაჩაღებს დაუბრუნდნენ, რომელთაც სოფელ ალიბეგლოს მცხოვრებლებიც მიეშველნენ.

ამასობაში ჩაფრების საქმე თანდათან ცუდად მიდიოდა. ტყვია წამალი შემოაკლდათ და აღარ იცოდნენ რა ექნათ. თავ. აბაშიძემ დაინახა რა მათი გაჭირვებული მდგომარეობა, ცოცვით მიუახლოვდა, დაუწყო გამხნევება და თითონაც წაეშველა სროლაში. მაგრამ ორი ტყვია კიდევ მოხვდა და იქავე გარდაიცვალა. ამავე დროს მოჰკლეს ბეზინოვი, რომელსაც ტყვია თავში მოარტყეს. ჩაფრებს ტყვია სულ ერთიანად შემოელიათ, მოწინააღმდეგეს ვეღარ გაუმაგრდნენ და გაიქცნენ. გამარჯვებულ ავაზაკებმა ჯერ გაატიტვლეს დაჭრილები, შემდეგ მოსჭრეს თავები თავ. აბაშიძეს, ბეზინოვს და ორს მოკლულს ჩაფარს, ხეზედ ჩამოაცვეს და თოფის სროლა დაუწყეს. როდესაც ასეთის მხეცურის საქციელით გული იჯერეს, არხეინად წავიდნენ სოფელში.

30 ივლისს აბაშიძის და სხვათა მოკლულის გვამები ყაზახში მოიტანეს. მეორე დღეს, 31 ივლისს, მაზრის უფროსის თანაშემწემ თავ. ჭავჭავაძემ მოკლულის თავები იპოვნა და ისენიც ყაზახში მოატანინა.

თავ. აბაშიძე პირველ აგვისტოს დაასაფლავეს ქ. ყაზახში. დასაფლავებას განჯის გუბერნატორი, მრავალი მოხელე და აუარებელი ხალხი დაესწრო. გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა კირეევმა დიდად ანუგეშა თავ. აბაშიძის ქვრივი და უთხრა: „თქვენი ქმარი გმირულად მოკვდა. მე მშურს ასეთი სიკვდილი. უმაღლესს მთავრობას ვაუწყებ იმის ერთგულს სამსახურს და მამაცობას. იმედი მაქვს, რომ განსვენებულის ოჯახობა უზრუნველ-ყოფილი იქმნება“. განსვენებული თავ. აბაშიძე ჯერ ახალგაზდა, 36 წლის კაცი იყო. საბრალოს ქვრივი და ოთხი შვილი უმწეოდ და უპატრონოდ დარჩა. აბაშიძე კახელი თავადიშვილი იყო და ყველა პატიოსან და გულ-კეთილ კაცად იცნობდა. განსვენებულმა განათლება მიიღო ელისავეტგრადის ცხენოსან რაზმთა სასწავლებელში, რომლის გათავების შემდეგ პერეასლავის დრაგუნის ჯარში იქმნა გამწესებული. როდესაც პერეასლავის ჯარი რუსეთში იქმნა გადაყვანილი, თავადი აბაშიძე ტვერის დრაგუნის რაზმში გადავიდა და რამდენსამე ხანს იქა ჰმსახურობდა. პოლიციის ბოქაულად ამ სამის წლის წინად იქმნა დანიშნული და ამ ხნის განმავლობაში ერთგულად და მამაცად ასრულებდა თავისს თანამდებობას. ბევრჯელ მოუხდა შეტაკება სხვა და სხვა ავაზაკებთან და მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. განსვენებულს მთელს განჯის გუბერნიაში მამაცისა და მხნე კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მეტად სიყვარულით და მზრუნველობით ეკიდებოდა თავ. აბაშიძე სოფლის მცხოვრებლებს და იფარავდა მათ გაიძვერა მამასახლისებისა და სხვა მოხელეთაგან. საერთოდ ყაზახის მაზრაში საზოგადო სიყვარული და პატივი ჰქონდა დამსახურებული. გუშინ, ქვაშვეთის ეკკლესიაში, განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იყო გარდახდილი.

განჯის გუბერნატორმა ყაზახის მაზრა განჯის უფროსს ბ-ნ ყანჩელს ჩააბარა, რომელმაც სასტიკი ღონისძიებანი მიიღო ავაზაკობის მოსასპობად.

ის ჩაფრები, რომლებიც მოკლული ეგონათ, უკვე დაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ 15 სროლის ტყვია-წამლის მეტი არა გვქონდა და როდესაც სულ გამოგველია, იძულებულნი გავხდით გავქცეულიყავით.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ძიმითი**, (გურია). დიდის დავიდარაბის შემდეგ ძლივს მიაღწია ძიმითმა თავისს სურვილს. კარგა ხანია აღძრული იყო ლაპარაკი აქ არსებული ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის ორკლასიანად გადაქმნის შესახებ, მაგრამ საზოგადოების მკვიდრთა გულითადს ნდომას შემდეგი გარემოება ხელს უშლიდა: ძიმითის საზოგადოებაში 353 გარდამხდელი კომლია და შესდგება ორი უმთავრესი სოფლისაგან: ძიმითი და ბაილეთი. ამ ორ სოფელს შუა იყო ცილობა სასწავლებლის შენობის ადგილის აღმორჩევის გამო. თითოეულს სოფელს სურდა სასწავლებლის შენობა იმავე სოფელში მოთავსებულიყო და ამან ჩამოაგდო უთანხმოება. როგორც იყო, რამდენისამე წლის განმავლობაში არსებულ უთანხმოებას სასურველი და სანატრელი მორიგება მოჰყვა და მორიგებას განაჩენი, რომლითაც საზოგადოებამ დაავალა შენახვა თითო სოფელში თითო ერთკლასიანის სკოლისა და მეორე კლასის აგება, სადაც წინანდელი არსებობდა. ეს პირველ დაწყებითი სკოლა უკვე ორივე ადგილას არსებობს. ბაილეთში არის მასწავლებლად ხონის სასტატო სემინარიაში კურს დამთავრებული ბ-ნი ფარნაოზ ჭეიშვილი და ძიმითში—ბ-ნი დავით ერქომაიშვილი. საზოგადოება ორივეს ემადლიერება. მთავრობამაც კარგი შემწეობა აღმოუჩინა: ორასი მანეთი დანიშნულია ხაზინისაგან წლიურ შესაწევნელად, მხოლოდ იმ დროიდგან, როცა მეორე კლასი დაარსებული იქნება და ამისათვის საჭიროა ყველა ამ სიკეთესთან შევიგნოთ და დროით ვისარგებლოთ დანიშნულის შემწეობით, ე. ი. ვეცადოთ, რათა მომავალ სასწავლო წლიდგან დაარსდეს მეორე კლასიც, რა დროიდგანაც შემწეობასაც უეჭველად ვეღირსებით. წინააღმდეგ შემთხვევაში შემწეობასაც მოკლებულნი ვართ და ჩვენი მოზარდნიც ვერ ეღირსებიან ორ-კლასიანის სკოლის კურსის დასრულებას. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენი განაჩენი მხოლოდ დამტკიცებული იყოს და სისრულეში არ მოყვანილი. თუ-კი მხნედ მოვკიდებთ საქმეს ხელს, „არა რა არს უსაშველო“. აქ არის საჭირო მხოლოდ მონდომება, თორემ არც ისე დაცემულნი ვართ ნივთიერად, რომ ილაჯი გაგვიწყვიტოს ამ საქმემ.

წიგნთ საცავის დაარსების ნებაც მიღებულია, მხოლოდ აქაც წინად მოხსენებული მიზეზის გამო საქმე შეჩერებულია. არ არის საქები და მოსაწონი ასეთი გულ-გრილობა საქმისა აქაურის ინტელიგენტების მიერ, რომლებიც იმავე აზრს გამოსთქვამენ, რასაც დანარჩენები: „არა, ჩემს სიახლოვეს დაარსდეს, არა ჩემსაო“, თითქოს წიგნსაცავი და სამკითხველო ერთის რომელისამეს დასაკუთრებული იყოს. დასასრულ ერთი საპატიო კაცი იმასაც ჰქადაგებს, რომ საჭირო არ არის საერო სამკითხველო, უფრო სარგებლობას მოიტანს სასულიეროო, და ცალკე აპირებს დაარსებას. ღმერთმა ჰქმნას, ესეც სკოლის საქმესავით ადრე მოწყობილიყოს.

დეტი უაზნო

## რუსეთი

—

მოსკოვის უნივერსიტეტთან დაარსებულ სასტუდენტო საცხოვრებელ სახლის საქმე ჯერ-ჯერობით წინ მიდის. ამ ჟამად პირველი სართული უკვე აშენებულია. შემოდგომამდე მთელი შენობა მზად იქნება, მხოლოდ ჩარდახი და ექნება დასადგმელი.

— სამხედრო სამკურნალო აკადემია თავისს დელეგატებად ექიმთა საერთაშორისო მე-XII კრებაზედ დასასწრებლად მოსკოვში პროფესორებს ნ. ა. კრუგლევსკისა, ვ. ნ. სიროტინინსა და ს. ს. ბოტკინსა ჰგზავნის.

— ვექილთა საერთაშორისო კრებაზედ დასასწრებლად, რომელიც ბრიუსელში მოხდება, პეტერბურგიდგან ხუთს კაცსა ჰგზავნიან და ამათ შორის ცნობილს ვექილს ვ. დ. სპასოვიჩს.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხარჯით ცენტრალური სათესლე საწყობი იქმნას გამართული თავისის განყოფილებებით რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიაში. საწყობს აზრად ექნება სოფლის მეურნეობისათვის საჭირო თესლეულობა შეამზადოს ხოლმე და ხალხში გაავრცელოს, უფრო-კი იმ მცენარეთა თესლი, რომელიც ჯერ რუსეთში არ მოჰყავთ. იგივე საწყობები ბაზარს გაუჩენენ იმ თესლს, რომელიც დღეს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილში მოჰყავთ მემამულეებს.

— აგვისტოს შუა რიცხვებში პეტერბურგს ფრიტიოფ ნანსენი ეწვევა, რომელიც საერთაშორისო გეოლოგოსთა მე-VII კონგრესს თავისის მოგზაურობის შესახებ მოხსენებას წაუკითხავს. ნანსენს დიდის პატივით მიიღებენ. სხვათა შორის, პეტერბურგის მანდილოსნები საუცხოვოდ აბრეშუმით ნაკერს ხალიჩას თურმე უმზადებენ; ხალიჩაზედ ამოქარგული იქმნება დედამიწის ხუთთავ ნაწილის რუკანი. ის ადგილები, სადაც ნანსენმა იმოგზაურა, ოქროთი და ვერცხლით იქნება ნაკერი. ხალიჩის ქვეითა მხარეზედ ნანსენის გემი „ფრამი“ იქმნება დახატული და ზედ ეწერება: „ფ. ნანსენს რუსეთის დედათაგან“ და „ღმერთი გამბედავთ მფარველობს“.

— სახელმწიფო სახაზინოს დეპარტამენტში ამ ჟამად უკვე შესდგომიან იმ ინსტრუქციის გადასინჯვას, რომლებიც სახაზინოებს გაეგზავნებათ და რომლებითაც განზრახულია ხაზინაში მსახურთა სამუშაო შეამსუბუქონ. ამ ინსტრუქციის გადასინჯვას ამ შემოდგომაზედ დაასრულებენ.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კურლიანდიის მეფუტკრეობის საზოგადოებისაგან შუამდგომლობა მისვლია, რომ ქ. მიტავაში სექტემბერში მეფუტკრეობის გამოფენა იქმნას გამართული. სამეურნეო სამინისტროს ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია.

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი**. ოსმალეთს ჯერ საბერძნეთთანაც არ გაუთავებია საქმე და ახალი შეტაკება-კი მოელის. როგორც გაზეთები იუწყებიან, სომხები კონსტანტინეპოლში დიდს სამზადისში არიან და მალე ოტტომანის მთავრობისა და ელჩების წინააღმდეგ დემონსტრაციებს მოახდენენ. გაზ. „Berliner Tageblat“-ის კორესპონდენტის სიტყვით, მთავრობამ ყოველივე უწყის, მაგრამ არავითარს ზომებს არ ხმარობს მომავალ უწესოების ასაცდენად. მეორე მხრივ ოსმალეთის მთავრობა დიდს შიშშია და არ უნდა, რომ უწესოება, შარშანდელებრ, წელსაც განმეორებულ იქმნას. ყოველს ეჭვს გარეშეაო, ამბობს გაზეთი, რომ სომხების საქმეს ხლართავს და ჰხვანჯავს მრავალი უცხოელი აგენტი, რომელნიც კონსტანტინოპოლში ხალხს ამტუტებენ და აღელვებენო.

— „Times“-ის სიტყვით, ოსმალეთის მთავრობა ეხლა ძალიან მოწადინებულია, რაც შეიძლება მალე გაათავოს ზავის საქმე. ამისი მიზეზი ოსმალეთის ფინანსების უნუგეშო მდგომარეობაა და სესხის აღება-კი არ შეუძლიანთ, ვიდრე ზავი არ იქმნება დადებული ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის.

—

**საბერძნეთი**. ათინიდგან სწერენ „Times“-ს: „ჩვენ ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ საბერძნეთის მთავრობამ მისწერა ევროპის ყველა სახელმწიფოებს, რომ ფინანსების კონტროლს ვერ მივიღებთო. როგორც ახლანდელი აგრეთვე მომავალი მთავრობა საბერძნეთისა დიდი წინააღმდეგი იქმნება იმის, რომ საბერძნეთის ფინანსების საქმე უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ ჩაუვარდეთ ხელშიო. ამ გარემოებას ძალიან ცუდი შედეგი ექმნებაო.

—

**კრიტი**. ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ოსმალეთის მთავრობამ გემები და ჯარი გაგზავნა კრიტში ჯევად ფაშას წინამძღოლობითაო. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ადმირალებმა გადასწყვიტეს წინააღმდეგობა გაუწიონ ჯევად ფაშას და ნება არ მისცენ მას, რომ რაიმე განკარგულება მოახდინოს კრიტში. ადმირალებმა უკვე მოამზადეს გემები, ასე რომ ბრძანების მეტი არაფერი უნდა. ამ ჟამად კრიტში ევროპის სახელმწიფოთა 30 გემია. ადმირალებს კრება ჰქონდათ იტალიის გემზედ და შეიმუშავეს მოქმედების გეგმა. თვით მცხოვრებლებსაც არეულობა და უკმაყოფილება ეტყობათ. განსაკუთრებულ მაჰმადიანნი არიან აღელვებულნი. ამას წინად, შუადღისას, ერთი ქრისტიანი მოჰკლეს, იმის შვილსა და ნათესავებსაც უპირებდნენ მოკვლას, მაგრამ იმათ დამალვა მოასწრეს ხალხი, მაჰმადიანნი და ქრისტიანნი შიშისაგან გარედ ველარ გამოსულან. ყველა მაღაზიები და დუქნები დაკეტილია.

— ტულონიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობა ახალ გემსა ჰგზავნის კრიტშიო, ამ გემით ჯარი და სურსათი იქმნება გადაყვანილ-გადატანილი. გარდა ამისა, მალე სხვა გემსაც გაგზავნიანო. იტალიის მთავრობაც ჰგზავნის ჯარს, როგორც გენუიდგან მოსული დეპეშიდგანა სჩანს. 63 ქვეითა რაზმს ბრძანება მიუღია, რომ კრიტში წასასვლელად მოემზადოს და მალე კიდეც გასწევს კრიტისაკენაო.

## დამაკვირდი

საუკეთესო სათნოება იგია, რომელსაც უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ჩვენთა მახლობელთათვის.

არისტოტელი

***

ვინც ზღვაში ყოფილა, იმას წყლის გუბის შიში არ ექმნება.

რუს. ანდაზა

***

სულმოკლეობა უფრო სათნოებას უშლის ხელს, ვიდრე ბიწიერებას.

ლაროშფუკო

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დამტკიცებულია, რომ ევროპის ცივილიზაცია შეეხება თუ არა ველურს ხალხს, სულ ერთია, აფრიკაში იქმნება ეს ხალხი, ავსტრალიაში თუ სადმე სხვაგან, ეს ცივილიზაცია სთხოვს ველურს ხალხს, რომ ტანთ-საცმელით შეიმოსოს. რა თქმა უნდა ტანთ-საცმელი კარგია და საჭიროც არის იქ, სადაც ხალხი უკვე შესჩვევია, მაგრამ იმ ტომისათვის-კი, რომელსაც არასოდეს არა სცმია ტანთსაცმელი,—ევროპიელების ტანისამოსი სასარგებლო-კი არა, მავნებელიც ყოფილა თურმე. ველურის კაცის კანი სიცივის ატანით პირუტყვის კანს არ ჩამოუვარდება და უკვე შეჩვეულია სიცხესაც და სიცივესაც. ინდიელმა ან ზანგმა არც-კი იცის, რას ჰქვიან გაციება. ტანთ-საცმელს რომ ჩაიცვამს, მაშინ-კი ხშირადა ხდება ავად. ეს ავადმყოფობა მისთვის უფრო საშიშია, რადგანაც ველურმა კაცმა არც თავის მოვლა იცის და არც წამლობა. გაციების გამო ველური კაცი გახდება ხოლმე ფილტვის ანთებით ავად და იშვიათად მორჩება. მრავალი ბუნებით მძლავრი და ჯან საღი ველური ხალხი ამოწყდა მხოლოდ იმიტომ, რომ ტანთ საცმელის ხმარებას ვერ შეეჩვია. მაგალითად, სანდვიჩის კუნძულების მცხოვრებნი ასობით იხოცებიან ფილტვის ანთებითა და ჭლექით და მიზეზი მხოლოდ ევროპიული ტანთ-საცმელია, რომელსაც ხალხი ვერ შეეჩვია და რომელიც სრულებით არ შეეფერება ამ ხალხის ქვეყნის ჰავასა.

***

შვეიცარიის მთებში მცხოვრებლებს ერთი ჩვეულება ჰქონიათ. დაინახავენ თუ არა შავს ღრუბელს, რომელიც დიდს წვიმასა

და სტუვას მოესწვება, იმ წამსვე თოფებს დაუშენენ ხოლმე. დიდხანს ეგონათ, რომ მთიულებს ეს ცრუ-მორწმუნეობით მოსდითო. მაგრამ ბოლოს დამტკიცდა, რომ სროლა უებარი საშუალება ყოფილა სეტყვის ასაცდენად. ერთი იტალიელი მეცნიერი მემამულე ამბობს, რომ ეწინ სეტყვა ყოველ წელს მანადგურებდაო, ამიტომ ხალხურ საშუალებას მივმართე. გავმართე ჩემს მამულში ექვსი ქოხი და დავდგი ზარბაზნები. მოუახლოვდებოდა თუ არა ჩემს მამულს შავი ღრუბელი, სეტყვის მომასწავებელი, იმ წამსვე დავუწყებდი სროლას და ღრუბელი იფანტებოდაო. გასულ წელს განმავლობაში ექვსჯერ მოქცეულა ასე ეს მემამულე და არც ერთხელ არ დაუსეტყვია, თუმცა ახლო მახლო მდებარე ვენახები ყველა დაისეტყვა.

***

მილანის ერთ გაზეთში სწერს ერთი მკურნალი ლუიჯი სეკომანდი: „კარგა ხანია, რაც ხუნაგს (ყელ-ბირყვავს) ნავთითა ვწამლობ და დავრწმუნდი, რომ ნავთი უებარი წამალი ყოფილა ამ სენისა. თამამად შემიძლიან ვურჩიო ყველას ეს წამალი და იმედიცა მაქვს, რომ ყველა, ვინც-კი სცდის, მადლიერი დამრჩება. ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩემი წამალი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდგება, როდესაც ბავშვი 6 წლისაზედ ნაკლები არ არის და, მაშასადამე, ყოველგვარ დარიგებას მკურნალისას აასრულებს, ნავთს ასე ვხმარობ: ავადმყოფმა პირი უნდა გამოივლოს, შეისუნთქოს და შაისვას კიდეც.

## ახალი წიგნი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ახალი წიგნი „ლექსები ანტონ ფურცელაძისა“. ამ წიგნში მოთავსებულია ჩვენის პატივცემულის მწერლის ანტონ ფურცელაძის ლექსები, როგორც ორიგინალური, აგრეთვე ნათარგმნი, დაწერილი სხვა-და-სხვა დროს 1858 წლიდგან მოკიდებული 1896 წლამდე. წიგნი შეიცავს 146 გვერდს, სუფთადაა გამოცემული და ღირს 40 კაპეიკი. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი.

# დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან).

2 აგვისტო

**ბომბეა.** კალკუტაში მყოფი ავღანელი აგენტი სამის კვირის წინად ქაბულს დაბრუნდა. ბომბეაში მყოფ ავღანელი აგენტიც ამ რამდენისამე დღის წინად დაბრუნდა, თანახმად ემირის ბრძანებისა. აგენტმა აღრევე მიჰყიდ-მოჰყიდა მთელი თავისი ქონება. როგორც ხმა დადის, სიმლიდგანი და ქუთაისიდგანაც გაუწვევიათ აგენტები. როგორც ჰფიქრობენ, ემირს უთუოდ აღრევე უნდა სცოდნოდეს, რომ ასაჯანყებლად ემზადებოდნენ. აფრიდეთი ტომის ერთი ნაწილი შეიარაღებულია. პეშავერში მცხოვრებნი ინდოელნი მაჰმადიანთ მხრით თავდასხმას და აჯანყებას მოელიან. დორსეტშირის რაზმსა და ადგილობრივს ჯარებს მიწერილობა მიუვიდათ, რომ რავალპინდში გარნიზონი გაამლიერონ.

**პარიჟი.** გენერალი სერმე და სამხედრო მინისტრის კანცელარიის უფროსი ტევენე, რომლებიც რუსეთის მანევრებზე დასასწრებლად იქნენ დანიშნულნი, უკვე წავიდნენ პეტერბურგს. იგინი დაუყოვნებლივ კრასნოე სელოში მივლენ. გენერალი ბუდეფრი და ცერემონმეისტერის თანაშემწე მოლდრიო პეტერბურგს წავიდნენ, რომ პრეზიდენტის ჩაბრძანების შესახებ უკანასკნელი განკარგულება მოახდინონ.

„ტან“-ი ავსტრო-ბოლგარულთა შეტაკების შესახებ, რომელსაც შედეგად სოფიაში მყოფ ავსტრიის რწმუნებულის გამოწვევა მოჰყვა, იმ აზრისაა, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდება, ბოლგარიის სამინისტრო არ გამოიცვლება და გავლენიანი დიპლომატია ორსავე მეზობელს სახელმწიფოს ისე შეათანხმებს, რომ დაბრკოლება რამ არ აღმოუჩნდეს!

**ბუდაპეშტი.** სერბიის სამეფო საავადმყოფო უკვე დაიწყო მოქმედება.

**პარიჟი.** ტურინის გრაფი და ორლეანის პრინცი ხმლით შეებრძოლებიან ერთმანეთს ორშაბათს. ბრძოლა საფრანგეთს გარეთ ექნებათ.

4 აგვისტო

**პარიჟი.** დუელი გრაფ ტურინისა და პრინც ორლეანელის შორის მოხდა დილის 5 საათზე ვისკრესონის ტყეში და 26 წუთი გაგრძელდება. მოწინააღმდეგენი ხუთჯერ შებრძოლნენ ერთმანეთს. პრინცმა ორლეანელმა ორი საშიში ჭრილობა მიიღო: ერთი მარჯვენა ბეჭში და მეორე—მუცლის მარჯვენა მხარეს. გრაფი ტურინი მარჯვენა ხელში დაიჭრა. პრინცი ორლეანელი ჰერცოგ შარტრელის სახლი იქმნა გადატანილი. ბრძოლას განაგებდა ლეონტიევი. ექიმმა განაცხადა, რომ იმის თქმა თუ რამდენად საშიშ მდგომარეობაშია დაჭრილი, მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეიძლებაო.

**ვაშინგტონი.** მისურის ცნობილი მეკარჩხე იტან ბიჩკავი დანიშნულ იქმნა შეერთებული შტატების ელჩად რუსეთში.

**ვერზრა.** 3 აგვისტოს, დილით, შესდგა სამხედრო სასამართლო ანჯოილიონის წინააღმდეგ. განაჩენი გამოცხადებული იქმნება უმაღლესის სამხედრო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

**პარიჟი.** პრინცი ორლეანელი ჯანმრთელად არის. ექიმებმა სთქვეს, რომ არც ერთი ჭრილობა არ არის საშიშრო.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინ, თოფხანეში კრების შემდეგ, შესდგა მეორე კრება ელჩებისა. მე-6 მუხლი ჯერ არ არის ხელ-მოწერილი, მაგრამ იმედია, რომ მალე შეთანხმდებიან. შემდეგი კრება სამშაბათს იქმნება.

**ბომბეი.** ინდოეთის რკინის გზით გადაჰყავთ ჯარი ქვეყნის ყველა კუთხეებიდგან ჩრდილოეთისაკენ.

გამოაშკარავდა, რომ პემეგარის შეტაკებაში მარტო მოლლა დეგადდგ არ არის პასუხის მგებელი, ავღანელებსაც მიუღიათ მონაწილეობა. ყველამ უწყის, რომ მოლა ავღანის მოხელეებთან იქვრდა საქმეს და რომ ავღანის მოხელენი ხელს უწყობდნენ ხალხში ქადაგებას გავრცელებას, რომელშიც სადოთ ომს ქადაგებდნენ. შაჰკადრის სიმაგრეზედ დაცემის დროს, მოლლას წინამძღოლობით, ემირის მრავალი ქვეშევრდომი და ჯარის-კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელთაც განიერი ტანისამოსი ეცვათ.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ქალაქ ფოთში მცხოვრებელს ილარიონ ლიპარის ძეს გოგიბერიძეს, რომელმაც ჩემდამო ჯიხეთის რწმუნებულს დედათა სავანის საქალებო სამრევლო სკოლას შემოსწირა ხუთი მანათი და ამას გარდა, რომლისაც დიდი მადლობელნი ვართ, რადგან ყოველთვის ხელს გვიწყობს და დიდს შემწეობას აძლევს ჩვენს დედათა სავანეს.

წინამძღვარი ჯიხეთის დედათა სავანისა

მონაზონი ელენე

# განცხადებანი

## ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საცნობელად, რომ ხუთშაბათს, 21 აგვისტოს ამა 1897 წლისას, დღის 12 საათზედ, მის თანადასწრებით, ქ. ფოთში იქმნება უსათუო პირადი ვაჭრობა ასაშენებლად ქ. ფოთში **ხის ხიდისა რკინის ბოძებზედ** მდინარე რიონის სამხრეთის ტოტზედ, 22,200 მ. ღირებულისა. რკინის ბოძები და კოჭები (ბალკები) ქალაქისაგან უფასოდ მიეცემა **იჯარადარს.** დასაუზრუნველად ვალდებულებათა, რომელთაც მიიღებს თავის თავზედ იჯარადარი, მოეთხოვება ბეთ **ათი პროცენტი** საიჯარო ფულიდამ ნაღდად ანუ რუსეთის სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდებით, ანუ მართებლობისაგან ნათავდებები აქციებით და ობლიგაციებით, აგრეთვე სხვა ბილეთებით, რომელთა ბეთ მიღება მართებლობისაგან ნება დართულია იჯარების დროს. პირობები (კონდიციები), პროექტი, გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა, რომელნიც კი საჭირონი არიან წარსადგენად ვაჭრობის დროს, შეუძლიანთ გასინჯონ ფოთის ქალაქის გამგეობაში სადა დღეებში 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოთის ქალაქის გამგეობა. (3—6.—1)


ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул. (9)


დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

# „კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

ვადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

## ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში:** «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავლის“ მაღაზიაში.

**ქუთაისში:** ბექანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

**ბათომში:** მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

**ფოთში:** სოფრომ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქნ ნინო ბერეჟიანთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

**ოზურგეთში:** კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.

**ლანჩხუთში** — „შუამავალში“, კ. თავართქილაძესთან.

**საჭილაოში** — „შუამავალში“.

**საჩხერეში:** ყარამან ჩხეიძესთან.

**ჭიათურაში:** ირაკლი დეკანოზიშვილთან.

**ყვირილაში** (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

**წიფაში:** კირილე ხარაძესთან.

**ზუგდიდში:** კნეინა ანეტა დადეშქელიანთან.

**სენაკში:** ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან, სამ. ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

**ონში:** თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

**განჯაში:** ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

**ბაქოში:** გიორგი დეკანოზიშვილთან.

**კავკაზში:** ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.

**ხონში:** ივანე შარაშიძესთან.

**გორში:** ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

**თელავში:** ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

**სიღნაღში:** დ. მაჩხანელთან დეპოში ძ თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

**ახალციხეში:** გრიგოლ ბურჭულაძესთან.

**ახალქალაქში:** ილია ალხაზიშვილთან.

**ხაშურში:** იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

**მოლითში:** პავლე გურცხალიასთან.

**ბრეთში:** თავ. ვანო ავალიშვილთან.

**გუდაუთში** (სოხუმის ოლქში) გიორგი ბაღდავაძესთან.

**ალსტაფაში** მიხეილ გორდაძესთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

«კრებულის» რედაქტორი აკაკი.

გამოვიდა და ისყიდება

## ი. პ. ბრონ ფონ-ბრენნერის წიგნი

# საკომერციო არითმეტიკა

სავაჭრო და საბანკო ოპერაციები

სრული სახელმძღვანელო 520 ამოცანით და ცხრილებით.

ფასი 2 მანეთი

ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ავტორთან: მიხეილის ქუჩა, № 71, და ბარიათინსკის ქუჩა, სასოფლო-სამეურნეო ბანკი. (5—6.—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ 4-го Августь 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.